

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N020/15<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - ეკატერინე ჯინჭარაძე

### 1. ფაქტები

ადვოკატი კლიენტს წარმოადგენდა საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოში. კლიენტის პრეტენზია ეხებოდა ადვოკატის მიერ საკასაციო საჩივრის წარდგენის ერთთვიანი ვადის გაშვებას. ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებისათვის გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან ადვოკატმა ვერ მიუთითა საპატიო მიზეზზე. ასევე, კლიენტმა ადვოკატი დაადანაშაულა დისციპლინური წარმოების დროს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაში, კერძოდ, ადვოკატმა დისციპლინური წარმოების პროცესში წარმოდგენილი ახსნა-განმარტების დროს თქვა, რომ მისი კლიენტი უდანაშაულოდ არ იხდიდა სასჯელს, რადგან მას „ნარკოტიკი ამოუღეს კუჭიდან“.

### 2. პროცესუალური ისტორია

2015 წლის 11 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დარღვეული იყო შემდეგი ნორმები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5; კომისიამ ადვოკატის მიმართ დაადგინა დისციპლინური გადაცდომა და მიზანშეწონილად მიიჩნია დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება.

### 3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების შემდეგ ადვოკატს წარმოემოხა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი საუკეთესო ინტერესები. ადვოკატს საკასაციო საჩივარი ერთი თვის ვადაში უნდა ჩაებარებინა უფლებამოსილი პირისათვის, რომელიც იქნებოდა სააპელაციო სასამართლო ან ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად ჩაითვლებოდა მსჯავრდებულის ადგილსამყოფელი სასჯელაღსრულების შესაბამისი ადმინისტრაცია. ადვოკატმა არც ერთი შესაძლო ქმედება არ განახორციელა. განხილვის კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატმა საკუთარ თავზე აიღო რისკი - საკასაციო საჩივარი არ ჩააბარა სასჯელაღსრულების შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციას, ასევე, ვინაიდან სხვა საქმეზე სასამართლო პროცესი ჰქონდა ჩანიშნული, თავად არ მიიტანა საჩივარი სააპელაციო სასამართლოში. ფოსტის დაჩქარებული გზაზე მიწვევით გადაწყვიტა საკასაციო საჩივრის ჩაბარება. საბოლოო ჯამში, აღნიშნული რისკი გაუმართლებელი აღმოჩნდა. კლიენტის ინტერესებს მიადგა ზიანი - მან ვერ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით. ეთიკის კომისიამ დაადგინა კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურების სტანდარტის დარღვევა.

ვინაიდან ადვოკატი დაეყრდნო სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებულ ფაქტებს და განაჩენი შესული იყო კანონიერ ძალაში, კომისიამ არ მიიჩნია კონფიდენციალობის პრინციპი დარღვეულად.

### 4. დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა არ განახორციელა კლიენტის მიმართ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურება, რითაც დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5ccb006615728.pdf/020.15%2019.04.18.pdf>

საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5. განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის მოსაზრება კონფიდენციალობის დარღვევასთან მიმართებით და დაადგინა, რომ ადვოკატს არ გაუმჟღავნებია კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკა, მუხლი 4.